საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი - სს „ნიკორა ტრეიდი“-ს (ს/ნ 206255808)
მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი - სს „ნიკორა ტრეიდი“ (ს/ნ 206255808) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 5 აგვისტოს №189/04 ბრძანებით დამტკიცებული „პირების მიმართ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის“ მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 21 508.11 (ოცდაერთი ათას ხუთას რვა ლარი და თერთმეტი თეთრი) ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული სანქცია გამოიცა „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის.